დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ109. 109243201**

თარიღი:**15/11/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და დმანისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (თანდართული), გამოქვეყნდეს საჯაროდ განსახილველად და განთავსდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www. dmanisi.gov.ge.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად გადაეცა:

Ø საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას

Ø საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას

Ø საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას

Ø საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას

Ø საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას

Ø საკრებულოს ფრაქციას ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო"

Ø საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს.

3. დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართოს მ/წლის 22 ნოემბერს 12:00 საათზე მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, მერიის საკონფერენციო დარბაზი;

4. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული კითხვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2024 წლის 25 ნოემბრამდე, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, საკრებულოს აპარატი.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/